ა(ა)იპ ხარაგაულის „ ე.კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“
2022 წლის
ა ნ გ ა რ ი შ ი

ხარაგაულის „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ ბიუჯეტმა 2022 წელს შეადგინა 1 758000 ლარი.

ხარაგაულის ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში 21 საბავშვო ბაღი და 1 (ერთი) სკოლისათვის მზაობის ჯგუფია. აღსაზრდელთა სიობრივი რაოდენობა 2022 წლის სექტემბრისათვის იყო 523, გაერთიანებაში ამ პერიოდისათვის 281 თანამშრომელია. შრომის ანაზღაურებამ გაერთიანებაში დასაქმებულ 281 თანამშრომელზე შეადგინა 1356119 ლარი.

2023 წელს გაერთიანების ყველა თანამშრომელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, სახელფასო ანაზღაურება გაეზარდათ თითოეულს 100 ლარით.

არსებული საბავშვო ბაღებიდან, ინფრასტრუქტურის სტანდარტებს აკმაყოფილებს სოფლების: საღანძილის, ხუნევის და ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღები; სტანდარტებს ნაწილობრივ აკმაყოფილებს სოფლების: ლეღვნის, ვახანის, წიფის, კიცხის, ხიდრის, წყალაფორეთის, ვარძიის, ნადაბურის, ღორეშისა და დაბა ხარაგაულის №2 საბავშვო ბაღები. სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს დაბა ხარაგაულის №1 საბავშვო ბაღი, რომელშიც შვიდი ჯგუფია. სოფლებში: მოლითი, ზვარე, სარგვეში, გედსამანია, ბორი, მარელისი აუცილებლობას წარმოადგენს ახალი საბავშვო ბაღების აშენება. ახალი საბავშვო ბაღია ასაშენებელი სოფელ ბორითში, დღესდღეობით საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, თუმცა როცა ავტობანი შევა ექსპლუატაციში, მიგვაჩნია, რომ პრობლემურია ამ ადგილას საბავშვო ბაღის ფუნქციონირება. აღნიშნულ ბაღში 2022 წელს იყო სველი წერტილების პრობლემა რეაბილიტაციის დროიდან მოყოლებული, რომლის მოგვარებაც მხოლოდ ჩვენი ძალებით ვერ მოხერხდა და წლებია ქმნიდა დისკომფორტს, ეს პრობლემა საკრებულოს თავმჯდომარის, ქალბატონ მანანა ბარბაქაძის მხარდაჭერით მოგვარდა, რისთვისაც მადლობა მას გვერდში დგომისათვის.

ავტობანის მშენებლობის შედეგად დაინგრა სოფელ ხევის საბავშვო ბაღი, რომელიც დღესდღეობით ხევის საჯარო სკოლის შენობაში ფუნქციონირებს, როგორც ალტერნატიული სკოლისათვის მზაობის ჯგუფი, ერთი წახემსებით. ვიმედოვნებთ, რომ სოფელ ხევს მალე ექნება საბავშვო ბაღის ახალი შენობა.

გაერთიანების საბ. ბაღებში შექმნილია სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემო და დაცულია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი

აღზრდისა განათლების სახელმწიფო სტანდარტები. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულყოფისათვის მიმდინარეობს ახალი თამაშით კურიკულუმის დანერგვა. ამ მხრივ საჭიროა მეტი საგანმანათლებლო რესურსით ხელშეწყობა ბაღებისათვის. საჭიროა აღმზრდელთა გადამზადება, ბავშვთა უფლებების დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების თემატიკის მიმართულერბით. ასევე სავალდებულოა უსაფრთხოების ტრენინგის გავლა პედპერსონალისათვის. სისტემატიურად მიმდინარეობს საბავშვო ბაღების მონიტორინგი, არსებული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

2022 წელს გადავამზადეთ გაერთიანების 24 აღმზრდელ-პედაგოგი 4990 ლარად, აღნიშნული გაგრძელდება 2023-24 წლებშიც. გარდა ამისა, გაერთიანების ის თანამშრომლები, რომლებიც გაწევრიანებული არიან ა(ა)იპ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის ორგანიზაციაში, აღნიშნული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს სხვადასვა მიმართულებით გადიან.

ყველა საბავშვო ბაღის აღმზრდელს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მიეწოდათ ახალი მეთოთოდური სახელმძღვანელო, რის საფუძველზეც უტარდებათ სემინარები. წლის განმავლობაში შეძენილი იქნა 6200 ლარის სათამაშოები და 3723 ლარის ნაბეჭდი წიგნები.

გაერთიანების საბავშვო ბაღებში დაცულია კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმები, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილების საფუძველზე. აღნიშნულ პერიოდში ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების საბავშო ბაღებში გვქონდა სამი ძირითადი კვება (საუზმე, სადილი, სამხარი), 2022 წლის სექტემბრიდან დავამატეთ ერთი წახემსება საუზმესა და სადილს შორის. ერთ აღსაზრდელზე კვების ღირებულება იყო 2,90 (ლარი). კვებაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 123500 ლარი.

საახალწლოდ 523 ბავშვზე გავეცით 9937 ლარის საახალწლო ნობათი, ტკბილეულის სახით.

2023 წლისათვის შევიძინეთ კვების ახალი მენიუ 2000 ლარად. დღის განმავლობაში 4 ჯერადი კვებით (მ/შ 2 წახემსებით), სადაც გათვლილია ერთ ბავშვზე ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების რაოდენობა. ერთ აღსაზრდელზე კვებიის ღირებულებაა 4,44 (ლარი).

შევიძინეთ სამზარეულოებისათვის ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოები 2160 ლარად. ასევე განახლებას ვაკეთებთ სამზარეულოს ინვენტარზე.

გაერთიანების საბავშვო ბაღებში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილების შესაბამისად.

გაერთიანების საბ. ბაღებში შ.პ.ს. „ჰიგიას+“-ის მიერ ჩატარებული გვაქვს სადეზიფენქციო სამუშაოები 2888 ლარის ღირებულების და სასმელი წყლის ვარგისიანობის ანალიზები 1911 ლარად. ამასთანავე პერიოდულად ბაღებში შეგვაქვს სამედიცინო ხსნარები, სამედიცინო

ნიღბები, სადეზიფენქციო , სან/ჰიგიენური და რეცხვა/ქიმწმენდის საშუალებები. ყველა ბაღისათვის შევიძინეთ დისპანსერები. მოვახდინეთ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, სამუშაო შესრულებულია შ.პ.ს. „ იმერეთის სახანძრო დაცვის“ მიერ 1452 ლარად. დღეის მდგომარეობით, კიდევ მიმდინარეობს სახანძრო მოწყობილობების შეძენა-განახლება. შეძენილი იქნა ახლადგახსნილი ხუნევის საბავშვო ბაღისათვის ავეჯი 4950 ლარის , გადაპენტილი და განახლებულია ხუნევის სრულად და #1 საბავშვო ბაღის ნაწილი საბნები და ლეიბები, აღნიშნულის მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 2700 ლარი. ხუნევის საბავშვო ბაღს მთლიანად და ნაწილობრივ, ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღისათვის შევიძინეთ ფანჯრების ჟალუზები 2958 ლარის. თეთრეული ხუნევის ბაღისათვის 1120 ლარის. #1 საბ. ბაღში, 2 ჯგუფის ოთახში დავამონტაჟეთ რკინის გისოსები 700 ლარად, მით დაცულია ბავშვთა უსაფრთხოება.

#2 საბავშვო ბაღისათვის შევიძინეთ სარემონტო სამუშაოებისათვის ხარჯთაღრიცხვა 1374 ლარად.

ახალ სასწავლო წლისათვის 5 საბავშვო ბაღში ჩავატარეთ მიმდინარე სარემონტო სამუშაოები 9801 ლარის. (ბორის, წიფის, ბორითში საკანალიზაციო სამუშაოების წილობრივად, მოლითი,)

წიფის საბავშვო ბაღის შენობას არ ქონდა ჟოლობები და წყლის ღარები, წვიმის დროს წამოსული წყლით ზიანდებოდა და ნესტიანდებოდა შენობის კედლები, შევძელით და აღნიშნული პრობლემა მოვაგვარეთ, რომლის ხარჯმა (მასალა+ ხელობა) შეადგინა 4898 ლარი. შევიძინეთ ბაღებისათვის მწერების დამცავი ბადეები 900 ლარად. შეძენილი იქნა წიფის საბავშვო ბაღისათვის მუსიკალური ინსტრუმენტი (პიანინო) 400 ლარად.

წლის განმავლობაში კომუნალურმა ხარჯმა შეადგინა 112811 ლარი. აღსანიშნავია რომ გათბობისათვის ვიყენებთ შეშას 18 ბაღში, დიზელის საწვავს 2 ბაღში (საღანძილე და ვერტყვიჭალა) და ბუნებრივი აირით ცენტრალურ გათბობას #1 ბაღში.

<u>არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯმა შეადგინა 18512 ლარი.</u>

მათ შორის: პრინტერი 2 ცალი 1840, შემოსასვლელი ჭიშკარი #1 საბ. ბაღს 2500ლარი, ქსელზე დაერთება ბორის ბაღის 800 ლარი, მაცივრები 6764 ლარის(#1,#2 ვარძიის, ვახანის , ხიდარი). სარეცხი მანქანა #2 ბაღს -1050ლარი. 5ტონიანი წყლის ავზი ხუნევის საბ. ბაღს 1370 ლარის, გამწოვი ვენტილიატორები #1 და#2 ბაღისათვის 1100 ლარი და საოჯახო ტექნიკა

3088 ლარის(ბორითი: ხორცსაკეპი და სარეცხი მანქანა, #1 ბაღის სარეცხი მანქანა, თერმექსი საღანძილის).

2022 წელს ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებამ, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში დაწესებულებათა პირველადი რეგისტრაციის პროცედურა წარმატებით გაიარა.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, ახორციელებს პროექტს "მუნიციპალური შესაძლებლობების გაძლიერება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისა შესახებ კანონის და ეროვნული სტანდარტების განხორციელებაში", რომლის ამოცანებია:

1. სკოლამდელი განათლების ხარისხის, ინკლუზიური მართვის, ავტორიზაციის პროცესისა და სოციალურად დაუცველი ბავშვების სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხებში მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერება, პერსონალის პროფესიული განვითარების გზით.

2.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრების (შემდგომში, საგანმანათლებლო რესურსცენტრების) შესაძლებლობების გაზრდა სკოლამდელი განათლების ინკლუზიური და ხარისხიანი სისტემის გაძლიერებისთვის.

3.ავტორიზაციის პროცესისთვის მუნიციპალური მზადყოფნის მხარდასაჭერად პრაქტიკული რესურსების შემუშავება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ხარაგაულის სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელობა, თებერვლის თვეში მიწვეული ვიყავით აქტივობაზე ქ.ზესტაფონში, რომელიც ითვალისწინებდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებისა და ავტორიზაციის პროცესის თემატიკას. მსმენელთათვის გაზიარებული იქნა სკოლამდელი განათლების მართვის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდიკა და პრაქტიკული რჩევები. შემდგომ მოგვეცა დავალება შეგვემუშავებინა გაერთიანების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ასახავდა რეალურ სურათს, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მზაობას ავტორიზაციისათვის. ჩვენი ორგანიზაციის სახელით გვინდა მადლიერება გამოვხატო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ კობა ლურსმანშვილისა და მერის მოადგილის, ბატონ ვარლამი ჭიპაშვილის მიმართ, ჩვენი ორგანიზაციის გვერდში დგომისათვის და წარმოქმნილი პრობლემის მყისიერად მოგვარების ხელშეწყობისათვის.